

UDC 316.7

SCOPUS CODE 1408

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-386-391>

ესპანეთის ენობრივი და საგანმანათლებლო პოლიტიკის საქართველოსთვის ნიმუშად შესაძლო გამოყენების პერსპექტივები

- ნინო თედორაია** საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: tedonino2@gmail.com
- ოთარ ბაღათურია** საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: otar.baghaturia@gmail.com

რეცენზენტები:

ბ. შერაზადიშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: b.sherazadishvili@gtu.ge

ლ. ამილახვარი, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: liza.a.1911@gmail.com

ანოტაცია. გლობალიზაციისა და მრავალფეროვნების პირობებში მნიშვნელოვანია ენობრივი პოლიტიკის გამოწვევები. საქართველოსთვის ესპანეთის მაგალითი საინტერესოა, განსაკუთრებით კატალონიური ენისა და ავტონომიის საკითხის გათვალისწინებით. საქართველოში აფხაზეთის რეინტეგრაციის პერსპექტივები ენობრივ პოლიტიკაში უმცირესობათა ინტერესების დაცვისა და რეალიზაციის საკითხის აქტუალობას ზრდის. ხაზგასმულია ენისა

და კულტურის დაცვის აუცილებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს ეთნიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებას და ჰარმონიულ თანაცხოვრებას საქართველოს ერთიან სახელმწიფოში. ქართულ-აფხაზური ენის ურთიერთობა და ინტეგრაცია სწორედ კატალონიური მოდელის გარკვეულ მახასიათებლებს ეფუძნება, რაც ხელს შეუწყობს ერთიანი საქართველოს შენარჩუნებას, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი; ეთნიკური მრავალფეროვნება; ენის დაცვა; ინტეგრაციის სტრატეგია; კატალონიის მოდელი; კულტურული იდენტობა; ლინგვისტური პოლიტიკა; რეგიონული ავტონომია; სახელმწიფო ენის სტატუსი; ასიმეტრიული რეგიონალიზმი.

შესავალი

რადგან აფხაზეთის ავტონომიაში ენობრივი პარიტეტის საკითხი თეორიულად გარკვეულ დონეზე საქართველოს მხრიდან გადაწყვეტილია და, ამდენად, ის მზადაა რეინტეგრაციის პროცესის აქტუალიზაციის მომენტისთვის, დღის წესრიგში დგება ოსური კულტურული ავტონომიის საკითხი, რომლის სტატუსი ქართულ პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში გადაუწყვეტელია, მაგრამ მისი აქტუალიზაციისთანავე მოხდება ენობრივი პოლიტიკის, აღნიშნული რეგიონისა და პოპულაციის მიმართ აქტუალიზაციაც, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა სხვა ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლების არეალებში სპეციფიკური მიდგომის აუცილებლობაც წარმოშვას, რომელთა თეორიული დამუშავება და პრაქტიკული რეალიზება უკვე ამჟამადაა შესაძლებელი და სასურველი, შესაძლოა უპირაზოდ იყოს სწორედ ასიმეტრიული რეგიონალიზმის ესპანეთში აპრობირებულ პრინციპებზე დაყრდნობით, ბუნებრივია, ორი ძირითადი მიზნით: პირველი ესაა ეთნოლინგვისტურ უმცირესობათა ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციისა და ჰომოგენიზაციის მიზნით ქართული ენის ინტეგრაციული ფუნქციის რეალიზება

მისი სწავლების ხარისხის გაზრდით და, მეორე მხრივ, ადგილობრივ თემთა სრულფასოვანი ეთნოკულტურული განვითარება.

ძირითადი ნაწილი

სახელმწიფო ენის პოლიტიკის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და გლობალიზაციის პროცესში საქართველოში ქართული ენის დაცვის სახელმწიფო სტრატეგიის შესწავლაში, ქართული ენის ინტეგრაციული ფუნქციის გამოვლენაში, ენობრივი პოლიტიკის გამოწვევების იდენტიფიცირებასა და მათი დაძლევის ოპტიმალური გზებისა თუ სტრატეგიის საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებაში, საქართველოში უმცირესობათა ენების დაცვის ვალდებულების, განსაკუთრებით ავტონომიების რეინტეგრაციის პერსპექტივის გათვალისწინებით, ადგილობრივ გამოცდილებისა და სპეციფიკაზე დაყრდნობით, ესპანეთის როგორც ერთ-ერთი მსგავსი მაგალითის გამოცდილება, საქართველოსთვის ოპტიმალური გზის შესამუშავებლად კატალონიურის სტატუსის და ფუნქციის შესწავლაა.

მართალია, ესპანეთში კასტილიურისა და კატალონიურის ურთიერთმიმართება განსხვავდება საქართველოში არსებული სიტუაციისგან, ესპანურსა და კატალონიურს, ორივეს აქვს ხანგრძლივი ისტორიულ-სახელმწიფოებრივი გამოცდილება, სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ტრადიცია, როგორც საქართველოში ისტორიულად მხოლოდ ქართულს აქვს, მაგრამ, მეორე მხრივ, უკვე ისტორიულად ქცეული ფაქტი და პოლიტიკური რეალობაა ის გარემოება, რომ საქართველოს შემადგენლობაში მოიაზრება ავტონომიები, თუნდაც მათზე საქართველოს მხრი-

დან ამჟამად კონტროლის გარეშე, მაგრამ რეინტეგრაციის პერსპექტივების შენარჩუნებით, რომელთაც აქვს „სახელმწიფო ენები“, ფაქტი, რომლისთვისაც, ანგარიშის გაწევის გარეშე, რეინტეგრაციის ისედაც რთული პროცესი კიდევ უფრო რთულდება. ამდენად საქართველომ ჯერ კიდევ რეინტეგრაციის პროცესის აქტუალიზაციამდე უნდა შეიმუშაოს ენობრივ პოლიტიკაში კოოპერირების სტრატეგია და ესპანეთის ენობრივი თუ პოლიტიკური ავტონომიის საკითხი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთ ნიმუშად.

საქართველო, როგორც ესპანეთი შეიძლება მოიაზრებოდეს ასიმეტრიული რეგიონალიზმის მქონე სახელმწიფოდ, რომელშიც ავტონომიურობის ყველაზე მაღალი ხარისხით აფხაზეთი სარგებლობს, უფრო სწორად ისარგებლებს რეინტეგრაციის შემდგომ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ნორმალური დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში, აფხაზეთის ავტონომიაში აფხაზეთი ეთნოსის ერთობლიობა უფრო მეტი ეროვნული სუვერენიტეტით ისარგებლებს ავტონომიის ფარგლებში, ვიდრე რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფი „ფორმალურად დამოუკიდებელი“ აფხაზეთის ფარგლებში ამჟამად სარგებლობს. თუმცა გარდა აფხაზეთისა, საქართველოს ფარგლებში შეიძლება მოიაზრებოდეს ოსური ავტონომიაც ამა თუ იმ ფორმით, შიდა ქართლის რეგიონის, ცხინვალის რეგიონის თუ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის ფარგლებში. გასაგებია აღნიშნული საკითხის სირთულე მისი ისტორიულ-სამართლებრივი დატვირთულობის გამო, მაგრამ, არსებული პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით,

არაა გამორიცხული ნებაყოფლობითი, მშვიდობიანი რეინტეგრაცია, რომლის პროცესზეც იქნება დამოკიდებული აღნიშნული რეგიონისა და/ან აღნიშნულ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის რეალური თუ წარმოსახვითი ინტერესების რეალიზაცია ამა თუ იმ ფორმის ავტონომიის სახით, იქნება ეს ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური რეგიონი (ოლქი), უბრალოდ ცალკე რეგიონი უნიტარული ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში თუ სულაც შიდა ქართლის რეგიონის ნაწილი, ენობრივი საკითხი აქაც გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის და საკითხის გადაჭრის საჭიროებას წარმოშობს. ამდენად, საჭიროა მისთვის მზადება, შესწავლა, სტრატეგიისა და წინადადებების შემუშავება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოში წარმოდგენილია რეგიონები, ლოკალურად კომპაქტურად დასახლებული უმცირესობებით, რომელთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სულიერი და კულტურული მისწრაფებების რეალიზაცია არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში ქართულ პოლიტიკურ და ენობრივ სივრცეში ინტეგრაციის პროცესთან, რაც ასევე გულისხმობს აღნიშნული რეგიონების განვითარების, მათში სახელმწიფო და რეგიონალური მმართველობის თუ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პარალელურად, ქართულის, როგორც ინტეგრაციული ფუნქციის მატარებელი ენის სწავლების და ადგილობრივი კულტურული თავისებურებების (მათ შორის ენობრივის) შესაძლო დაცვა-მხარდაჭერის აუცილებლობას.

აღნიშნული საკითხები განსხვავდება ერთმანეთისგან სირთულით, აქტუალობით, მისწრაფებებით, პრობლემების მასშტაბით და გამოწვევების

სირთულით, სამართლებრივ-პოლიტიკური თუ ისტორიულ-კულტურული საფუძვლებითა და მათ მიმართ პოლიტიკურ სპექტრში თუ საზოგადოებრივ სივრცეში დამოკიდებულებით. ამდენად მათ გადასაწყვეტად შეუძლებელია ერთიანი შაბლონის შემუშავება და ყოველი მათგანი ინდივიდუალურ გადაწყვეტას საჭიროებს სპეციფიკური მიდგომების გათვალისწინებით. ამგვარი ასიმეტრიულობით წარმოდგენილი პრობლემის ამა თუ იმ ფორმით გადაჭრის კარგი ნიმუშია ესპანეთი, რომლის შესწავლა, განსაკუთრებით საგანმანათლებლო პოლიტიკის თვალსაზრისით, უდავოდ მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი შეიძლება იყოს ზოგადად აღნიშნულ საკითხთა კომპლექსის მრავალფეროვნების (როგორც პრობლემის და გამოწვევის, ისე პოლიტიკის თვალსაზრისით) რეალიზაციის კუთხით.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრობლემის მთელი მისი მრავალმხრივი მრავალფეროვნებით შესწავლა უდავოდ საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა, იგი დამოკიდებულია მრავალ სირთულესთან და უფრო ვრცელი შრომის ნაწილად შეიძლება მოიაზრებოდეს. აქ აქცენტი მაინც ძირითადად აფხაზეთისა და კატალონიის ავტონომიების და მათთან ეროვნული ხელისუფლების დამოკიდებულების საკითხზეა, რაც, თავის მხრივ, რთული, მრავალმხრივი და ვრცელი კვლევის საგანია, აქ კი მხოლოდ აღნიშნული კვლევის შეკუმშული ვერსია და ძირითადი დასკვნებია წარმოდგენილი.

ესპანეთის სახელმწიფოს, ანტიკური პერიოდიდან დღემდე, განვითარების რთული და ხანგრძლივი ისტორია აქვს, მისი ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი საუკუნეები გაგრძელდა.

ესპანეთი ასიმეტრიული რეგიონალიზმის პრინციპითაა მოწყობილი, რაც ნიშნავს იმას, რომ თვითმმართველობის შედარებით მაღალი ხარისხით გამოირჩევა რამდენიმე ავტონომია, მათ შორის კატალონია და ბასკეთი. კატალონიური ენა (Catalan) ესპანურთან ერთად შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახში და ძალიან ჰგავს კასტილიურს (ესპანურს). კატალონიურ ენაზე, კატალონიის გარდა, ასევე საუბრობენ ვალენსიის რეგიონში და ბალეარის კუნძულებზე.

ესპანეთის 1978 წელს მიღებული კონსტიტუცია აღიარებს ესპანელი ერის განუყოფელ ერთიანობას. გარდა ამისა, კონსტიტუციაში მკაფიოდ ჩაიწერა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, ესპანურის გარდა, სხვა ენათა აღიარება. ესპანეთის კონსტიტუცია უმცირესობათა ენების ოფიციალური აღიარების დეკლარაციას ახდენს სხვადასხვა რეგიონის ავტონომიის სტატუსებზე.

გასული საუკუნის ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურული პერიპეტეიების ფონზე იცვლებოდა სახელმწიფოს დამოკიდებულება რეგიონულ ენებთან. ეს პროცესი 1978 წლის კონსტიტუციით დაგვირგვინდა და შეიძლება ითქვას, რომ ამის შემდეგ დაიწყო ახალი პროცესი, სადაც დიდი ყურადღება ექცევა ავტონომიებში გავრცელებულ ენებს, თუმცა პერიოდულად შეინიშნება მარგინალიზაციისა და მონოლინგვიზმის ტენდენციები, ესპანური ენის საგანმანათლებლო (და სხვა) სფეროებიდან გამეცებით.

ეს ტენდენცია საფრთხის შემცველია იმ ფაქტორის გათვალისწინებითაც, რომ ესპანური მსოფლიოში გავრცელების მხრივ მეორე ენაა (ინგლისური ენის შემდეგ). შესაბამისად, საფრთხე ექმნება ასობით მილიონი ესპანურენოვანი ადამიანის კომუნიკაციას,

რომ აღარაფერი ვთქვათ თავად ესპანური ენის უფლების შელახვაზე სახელმწიფოში, სადაც ის სახელმწიფო ენის სტატუსით სარგებლობს.

ამ მხრივ ესპანური (კერძოდ, კატალონიის რეგიონის) საკითხი მეტად საყურადღებო და საგულისხმოა ჩვენი, ქართული რეალობისთვის. ენა ის სიმდიდრეა, ის სახელმწიფოებრივი საყრდენია, რომელიც მუდმივად განსაზღვრავს ჩვენს იდენტობას და პოლიტიკურ-კულტურულ იერს. საქართველოში სახელმწიფო ენის სტატუსი ორ ენას აქვს - ქართულს და აფხაზურს. ეს მაშინ, როცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა რუსეთის მიერაა ოკუპირებული, თვითგამოცხადებული მთავრობა კი ყოველივე ქართულს ანშობს ძირძველ ისტორიულ ქართულ მიწაზე.

დასკვნა

ასეთი ვითარებაში, საქართველოს მიერ აფხაზური ენისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭება ჰუმანური და მნიშვნელოვანი ჟესტია, რაც აფხაზურენოვანი მოსახლეობის მიმართ ნდობისა და თანამშრომლობის დადასტურებაა. საქართველო ყოველთვის, თავისი ისტორიულ-კულტურული განვითარების ყველა ეტაპზე, ზრუნავდა მის ტერიტორიაზე არსებული ეთნიკური უმცირესობების თუ ეთნოჯგუფების თვითმყოფადობასა და კულტურულ იდენტობაზე. ქართული ენა კი, როგორც სახელმწიფო ენა, ყოველთვის იყო და იქნება გარანტი სხვა „მცირე ენებისათვის“, მათი ჰარმონიული თანაცხოვრებისა და განვითარებისათვის, საქართველოსა და ქართული საზოგადოების, ერთიან სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში.

ლიტერატურა

1. France 24. (2010). One million march to support the statue on catalan autonomy. Retrieved 25
2. September 2024, from <https://www.france24.com/en/20100711-spain-catalan-one-million-protest-statuteconstitutional-court-challenge>
3. Basaguren, A. L. (2007). Official languages between the Constitution and the autonomous communities: development or transformation of the constitutional model?
4. Herreras, J. K. (2007). Linguistic standardization policies in Spain. France.
5. Tevdorashvili, G. (2003). Regionalism as a form of state-territorial organization. Tbilisi.
6. Chubinidze, A. (2019). Comparative analysis of Basque and Catalan nationalism. Tbilisi.
7. Khubua, G. (2000). Federalism as a normative principle and political order. Tbilisi: American Bar Association.

UDC 316.7

SCOPUS CODE 1408

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-386-391>

Spanish Educational and Language Politics' Perspectives for Georgia as a Model for Possible Implementation

Nino Tedoraia Department of public administration and electronic business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: tedonino2@gmail.com

Otar Baghaturia Department of public administration and electronic business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: otar.baghaturia@gmail.com

Reviewers:

B. Sherazadishvili, Associate Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: b.sherazadishvili@gtu.ge

L. Amilakhvari, Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, GTU
E-mail: liza.a.1911@gmail.com

Abstract. The article deals with the challenges of language policy in Georgia, in the conditions of globalization and diversity. The example of Spain is interesting for Georgia, especially considering the issue of Catalan language and autonomy. The prospects of the reintegration of Abkhazia in Georgia increase the relevance of the issue of protecting and realizing the interests of minorities in language policy. The need to protect language and culture is emphasized, which will contribute to the preservation of ethnic diversity and harmonious coexistence in the united state of Georgia. The Georgian-Abkhazian language relationship and integration is based on certain features of the Catalan model, which will contribute to the preservation of a united Georgia, while respecting ethnic and cultural diversity.

In addition to the autonomy of Abkhazia, in which the issue of linguistic parity, theoretically, at a certain level, can be said to be resolved by Georgia, and thus ready for the actualization of the reintegration process, the agenda may include the issue of Ossetia cultural autonomy, the status of which is undecided in the Georgian political-legal space, but upon its actualization, it will also be The actualization of the language policy towards the mentioned region and population, which in turn may create the need for a specific approach in the areas of compact settlement of other ethnic minorities, whose theoretical development and practical realization is already possible and desirable, may be pointless based on the proven principles of asymmetric regionalism in Spain. Purpose: The first is to realize the integrative function of the Georgian language by increasing the quality of its teaching for the purpose of full integration and homogenization of ethno-linguistic minorities in the Georgian state space, and on the other hand full-fledged ethno-cultural development of local communities.

Keywords: Abkhazia and South Ossetia State; Asymmetric Regionalism; Catalan Model; Cultural Identity; Ethnic Diversity; Integration Strategy; Language Protection; Language Status; Linguistic Policy; Regional Autonomy.

განხილვის თარიღი 10.12.2024

შემოსვლის თარიღი 18.12.2024

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2025